სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი

სსრ კავშირ-გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩის საზეიმო გახსნა;

ვ. პოლიაკოვის სარეკორდო ნახტომი.

გამარჯვების სიხარული.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 123
(6934)
27
1981 წ.
ივნისი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ. ანისიმოვა.

არის მსოფლიო რეკორდი!

სსრ კავშირისა გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი, რომელიც გუშინ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა, არის პირველი დიდი ასპარეზობა მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ. ამიტომაც გასაგებია მისადმი დიდი ინტერესი. სპეციალისტები თბილისის მძლეოსნურ სექტორებზე ელიან ახალი სახელის გამოჩენას, მომავალი რეკორდსმენებისა და ოლიმპიური თაობის გმირების დაბადებას...

ტურნირის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე **გ. ქართველიშვილი.** მან მეგობრებსა და სპორტულ მეტოქეებს თბილისის სტარტებში ახალი წარმატებანი უსურვა და აღნიშნა, რომ ეს შეჯიბრება ორივე ქვეყნის მძლეოსნებს ხელს შეუწყობს ნაყოფიერად მოემზადონ მომავალი საპასუხისმგებლო ტურნირებისთვის.

მერე ბილიკები და სექტორები დაეთმოთ სპორტსმენებს. პირველი გამარჯვებული გამოვლინდა ქალთა შორის 100 მეტრზე თარჯრბენში. ეს გახლდათ საბჭოთა ათლეტი ტ. ანისიმოვა, რომელმაც მატჩების მიღწევა გააუმჯობესა — 12,68.

ამ დღეს პროგრამის კიდევ 15 სახეობაში შეჯამდა შედეგები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

ქალები. რბენა. 100 მ. მ. გიორი — 11,17, **400 მ.** მ. კოხი (ორივე — გდრ) — 49,65 (მატჩების მიღწევა), **1500 მ.** ზ. ზაიცევა (სსრ კავშირი) — 4.02,0 (მატჩების მიღწევა), **ესტაფეტა 4X100 მ.** გდრ-ის ნაკრები (მ. გიორი, ბ. ვიკელი, ა. ვალბერი, მ. შარლცერი)—42,67, **სიგრძეზე ხტომა.** ტ. სკაჩკო (სსრ კავშირი) — 680 სმ, **ბადროს ტყორცნა.** ე. იალი (გდრ) — 70,58 (მატჩების მიღწევა).

ვაჟები. რბენა. 100 მ. ფ. ემელმანი — 10,16, **400 მ.** ა. კნაბელი — 46,15, **1500 მ.** ო. გაერი (ყველა — გდრ)—3.38,64, **10 000 მ.** თ. ტურბი (სსრ კავშირი)—28.31,5, **110 მ. თარჯრბენი.** თ. მუნკელტი (გდრ) — 13,69, **ესტაფეტა 4X100 მ.** სსრ კავშირის ნაკრები (ა. შლიაპნიკოვი, ნ. სიდოროვი, ა. აქსინინი, ვ. მურავიოვი) — 38,76 (მატჩების მიღწევა), **ჭოკით ხტომა.** ვ. პოლიაკოვი (სსრ კავშირი) — 581 სმ (მსოფლიო რეკორდი), **შუბის ტყორცნა.** დ. კულა (სსრ კავშირი) — 85,84; **ბირთვის კვრა.** მ. შმიდტი (გდრ) — 20,92.

გუნდური შედეგები პირველი დღის შემდეგ: 84:83 გდრ-ის ნაკრების სასარგებლოდ.

100 მ-ზე ვაჟთა რბენის ფინიში.

ა. კოტორაშვილისა და ხ. ვართანესოვის ფოტოები.

რევოლუციით შობილი

საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

თითქოს სულ ახლაც იყო: აქართველოს სახელმწიფო ფილამონიის დარბაზში მიმდინარეობა საბჭოთა საქართველოს და მიი კომპარტიის შექმნის წლისავისადმი მიძღვნილი ზეიმი. რეპუბლიკის თითოეულ მცხოვრებს ამუდამოდ დაამახსოვრდა სკკპ ენტრალური კომიტეტის გენერაური მდივნის, სსრ კავშირის უმლესი საბჭოს პრეზიდიუმის თამჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გუთბილი, გულშიჩამწვდომი სიყვები საქართველოს კომუნისებისადმი, ყველა მშრომელისად-, მაღალი პოლიტიკური აღმალობა, ოპტიმიზმისა და მომავაი დღის რწმენის სულისკვეთება ლა შეერწყა შრომითი ენთუზიას მძლავრ აღმაფრენას, რომლის ანია სკკპ XXVI ყრილობის გაყვეტილებათა, იმ ამოცანათა რულება, რომლებიც ამხანაგმა . ი. ბრეჟნევმა დაუსახა რესპუკის პარტიულ ორგანიზაციებსა ყველა მშრომელს.

წორედ ასეთი განწყობით შეიბნენ 26 ივნისს ამ დარბაზში ართველოს საბჭოთა მილიციის მომადგენლები, რათა საზეიმო არებაში აღენიშნათ მისი 60 სთავი. მათთან ერთად ამ საიულეო თარიღს აღნიშნავენ სტუები მოსკოვიდან და ლენინგრადან, უკრაინიდან და აზერბაინიდან, სომხეთიდან და კრასნორიდან, ჩრდილოეთ ოსემოსული კოლეგები, რეს- პარტიული, საბჭოთა, ირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საბჭოეთის მილიცია შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებშივე, 1917 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინის ინიციატივით. რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, სოციალისტური მართლწესრიგის, კანონების დამკვიდრება და დაცვა მისი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა გახდა.

სახელოვანი გზა განვლო ქართულმა საბჭოთა მილიციამ. იგი ეხმარებოდა თავის ხალხს კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდებში, ომის და ომისშემდგომ ძნელ წლებში. საქართველოს მცხოვრებლებს ახსოვთ მილიციის მუშაკები, რომლებიც მამაცურად დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის ველებზე და სამსახურებრივი ვალის მოხდის დროს. მათი სახელი დღეს უკვდავყოფილია ქუჩების, სკოლების, პიონერთა რაზმეულების სახელწოდებით, წიგნებითა და მხატვართა ტილოებით. ახლა საბჭოთა საქართველოს მილიცია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგული მებრძოლი რაზმია.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე,** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი არმიის გენერალი **ნ. ო. შჩოლოკოვი,** ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როხტიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოხაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე.**

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა არმიის გენერალმა **ნ. ო. შჩოლოკოვმა.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა მილიციის გენერალ-მაიორმა **გ. ი. გვეტაძემ.**

საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკებს სახელოვანი იუბილე მიულოცა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა **ტ. ვ. როხტიაშვილმა,** უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ **ი. ნ. კატარგინმა,** საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. არხიპოვმა,** აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ქ. ა. მამედოვმა,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **გ. დ. გაბუნიამ,** სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ე. გ. პატალოვმა,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა **ჯ. ა. ჩარკვიანმა,** საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. მ. ბარაბაძემ,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ნ. ორჯონიკიძემ.**

საზეიმო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ მეომრები — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების წარმომადგენლები, თბილისელი პიონერები და მოსწავლეები.

ერთსულოვნად იღებენ წერილს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევისადმი.**

სრულდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქინფორმი).

მოსკოვის ღია ჩემპიონატზე

მოსკოვი, 26 ივნისი (დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.). დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ღია ჩემპიონატში კიდევ ორი (XV, XVI) ტური ჩატარდა.

XV ტურში მაია ჩიბურდანიძე შეხვდა ახალგაზრდა მოსკოველ ოსტატ ს. გორელოვს. პარტია ძალიან მწვავედ მიმდინარეობდა. ჭადრაკის დედოფალმა პაიკის საფასურად მხოლოდ აქტიური პოზიცია მიიღო. პარტია გადაიდო.

XVI ტურში მაიას მეტოქე იყო კიდევ ერთი ახალგაზრდა ოსტატი ვ. არბაკოვი (მოსკოვი). ამ პარტიაშიც მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. დიდოსტატმა ქალმა უპირატესობა მიიღო და ზუსტი თამაშით არბაკოვს ფარ-ხმალი დააყრევინა.

16 ტურის შემდეგ ჭადრაკის დედოფალს 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

27 ივნისს გაიმართება დასკვნითი, XVII ტური, რომელშიც მაია მოსკოველ ოსტატ ა. ვიქმანავინს შეხვდება.

კვლავ თავკაცობს ლიდერებს

ბუდაპეშტის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირის IX ტურში საბჭოთა დიდოსტატი ე. ფათალიბეკოვა ყაიმზე შეუთანხმდა საერთაშორისო ოსტატ მურეშანს (რუმინეთი) და 7,5 ქულით განაგრძობს ლიდერობას.

სსრ კავშირის ჩემპიონს ი. ლევიტინას 6,5 ქულა აქვს. მან IX ტურში დაამარცხა ოსტატი კრიჟანე (უნგრეთი). ამდენივე ქულა აქვთ დიდოსტატებს ჟ. ვერეცის (უნგრეთი) და ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი).

XVI მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

როგორ ვეგებებით მას?

„მერცხლები" გადასაფრენად ემზადებიან

სპორტულ სარბიელზე მომავალ წარმატებათა მოპოვების გარანტიას მრავალი რამ განაპირობებს. მათ შორის დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს თაობათა სტაბილურობას. სპორტსმენის მომავალ გამარჯვებებს, რაოდენ თვალსაჩინო მიღწევებიც არ უნდა ჰქონდეს მას მოპოვებული, ნიადაგ დიდი კითხვის ქვეშ აყენებს, თუ არასტაბილურ შედეგებს აჩვენებს. ასეთი სპორტსმენისგან მარცხიც მოსალოდნელია და გამარჯვებაც.

როცა სსრ კავშირის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს წყალში მხტომელების თადარიგს ვეცნობოდით, უწინარეს ყოვლისა მათმა სტაბილურობამ დაგვაინტერესა. ამ მიზნით მრავალი დიდი თუ პატარა შეჯიბრების შედეგები გავიხსენეთ და, შესაბამისად დასკვნებიც გამოვიტანეთ.

ვიდრე ჩვენს დასკვნებს და პროგნოზებსაც გაგაცნობდეთ, უმჯობესი იქნება ჩვენი წყალში მხტომელების სამზადისზე თანმიმდევრულად, თუმცა ფრაგმენტულად გიამბოთ და მივადევნოთ მათ წარმატებებსა თუ წარუმატებლობებსაც თვალი.

მოსწავლე სპორტსმენთა საკავშირო ფორუმისთვის თადარიგი ჩვენმა წყალში მხტომელებმა დროულად დაიწყეს — 1979 წლის გაზაფხულზე. მწვრთნელებს გუნდის დაკომპლექტებისთვის ბევრი არ უფიქრიათ, რადგან არჩევის საშუალება არც ჰქონდათ.

საქართველოში წყალში ხტომის დანერგვა-განვითარებისთვის თბილისელების გარდა თითქმის არავინ იწუხებს თავს. ზოგს ბაზები არა აქვს, ზოგიც არსებულს ვერ იყენებს თუ არ იყენებს. ამ უკანასკნელთა შორის, უწინარეს ყოვლისა, ქუთაისელები უნდა დავასახელოთ. მათ ორი აუზი აქვთ სახტომი კოშკებითურთ, მაგრამ რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა შორის ერთი ქუთაისელიც კი არ ჩანს. საერთოდ, ნაკრების კანდიდატთა შორის სოხუმელ გ. შავდიას გარდა ყველანი თბილისელები — „განთიადის", „დინამოს" და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები არიან.

ასე იყო თუ ისე, რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრების შედეგების მიხედვით 25 სპორტსმენი შეარჩიეს და ვარჯიშიც გააჩაღეს. ამ დღიდან მოყოლებული 10 საწვრთნელი შეკრება ჩაატარეს.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით წყალში მხტომელთა შეჯიბრება ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდება და ამიტომ ჩვენი სპორტსმენებიც საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზში ემზადებიან. დღეში 2-ჯერ ვარჯიშობენ როგორც საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში, ისე წყალში ხტომაში. მათ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები ი. [illegible], ა. ზარიძე (უფროსი მწვრთნელი), ლ. [illegible] და მწვრთნელი ა. [illegible] ავარჯიშებენ.

მზადების პერიოდში ჩვენმა წყალში მხტომელებმა 15 საკავშირო და ამდენივე რესპუბლიკურ პირველობაში სცადეს ძალა. ვ. ბილილოვი „განათლების" „მერცხლების" სახელწოდებით ცნობილ მინსკის საერთაშორისო შეჯიბრებაშიც გამოვიდა. ამ ასპარეზობებში ჩვენმა ორმა „მერცხალმა" საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, ხოლო რვამ — სპორტის ოსტატისა. ეს ურიგო მაჩვენებელი არ გახლავთ, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ამგვარი მიღწევა, შავდიას გარდა, მხოლოდ თბილისელთა წილად მოდის.

ამ შეჯიბრებათა შემდეგ რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა რაოდენობა თანდათან შემცირდა და დღეისთვის 17 დარჩა, საკავშირო სპარტაკიადაზე კი ათნი გაემგზავრნენ — ხუთი გოგონა და ამდენივე ვაჟი. მათგან თითო სპორტსმენი სათადარიგო იქნება.

საინტერესოა, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე წყალში მხტომელები ოთხ ჯგუფში ასპარეზობენ. ერთ ჯგუფში 1963-64, მეორეში 1965-66, მესამეში 1967-68, ბოლო მეოთხეში 1969-70 წლებში დაბადებულნი გამოვლენ.

მწვრთნელები განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ მზია ჩოგოვაძეზე, ელენე ბილიოვაზე და გია შავდიაზე, რომლებიც ეიდეისთვის ბიან საპატიო კვარცხლბეკის ერთ-ერთ საფეხურზე დამკვიდრების ადგილი. ეს სპორტსმენები, როგორც იტყვიან, დღითიდღე ხვეწენ და აუმჯობესებენ ოსტატობას. გიამ შარშან, საკავშირო თასის გათამაშებაში II ადგილი დაიკავა. ლენა უძლიერესი იყო სსრ კავშირის ზამთრის პირველობაზე. მანვე II ადგილი დაიკავა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ საკავშირო პირველობაზე. მზიამ ამავე შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მესამე იყო.

საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ ამ ზამთარს გამართულ პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საკავშირო პირველობაზე ჩვენმა უმცროსი ასაკის (1968-70 წ. წ.) წყალში მხტომელებმა ყველას აჯობეს საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

ზემოხსენებულმა სპორტსმენებმა თავიანთ უკანასკნელ შეჯიბრებაზე — საქართველოს პირველობაზეც კარგად იასპარეზეს. ყველა მათგანმა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, ბილიოვას კოშკიდან ხტომაში ქულის რაღაც მეასედები დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი რომ შეესრულებინა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წარმატებები, ჩვენს სპორტსმენებს ფრთებს შეასხამს.

ვილნიუსის სტარტებისთვის მზადების პერიოდში თავი გამოიჩინა ინგა გოგოსელიძემაც, ინგამ ორჯერ გაიმარჯვა „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშებაში. სამწუხაროდ, ამ სპორტსმენმა უკანასკნელ ხანს სტაბილურობა შეასუსტა, ამდენად, ძნელი სავარაუდოა მისი უახლოესი მომავალი. ერთი რამ ცხადია, ინგა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს ჩათვლას მისცემს, ხოლო თუ ჩვეული ოსტატობით იასპარეზებს, მედლის მოპოვებასაც შეძლებს.

ახლა რამდენიმე სიტყვა გუნდურ პირველობაში საქართველოს წყალში მხტომელთა შანსებზე. თუ თვალს გადავავლებთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი წყალში მხტომელების გამოსვლას, ამგვარ პროგრესს დავინახავთ: კიევში — IX ადგილი, ალმა-ათაში — VI, ლვოვში — V, ტაშკენტში — III. შეძლებენ თუ არა ვილნიუსში ჩვენი წყალში მხტომელები კიდევ უფრო დაწინაურებას? ამის თქმა ძნელია, რადგან არც ჩვენი მეტოქენი ელიან ვილნიუსის სტარტებს გულხელდაკრეფილნი. საპრიზო ადგილისთვის მთავარი ბრძოლები რუსეთის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთისა და საქართველოს წყალში მხტომელთა შორის გაჩაღდება.

საქართველოს „მერცხლები" უკვე გადაფრენისთვის ემზადებიან. როგორც ა. ზარიძემ გვითხრა, მათ ხელს არაფერი უშლით, რომ ლაღად გაშალონ ფრთები...

ა. გურასაშვილი.

ოჯახით რესპუბლიკის ჩემპიონატში

სააკაძეთ ის მთელი ოჯახით ჩამოვიდა. სიღნაღის რაიონის ილიაწოვკის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ალექსანდრე მიტუხინი რამდენიმე წელს იყო მძლეოსნობაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი. მერე, როცა ილიაწოვკაში დაიწყო მუშაობა, სპორტისადმი სიყვარული შვილებსაც ჩაუნერგა და მეთექვსმეტე ლეონიდი, მეთხუთმეტე პავლე და მეშვიდეკლასელი მარინა მარტო მძლეოსნობას კი არა, სპორტის სხვა გამოყენებით სახეობებსაც ეწევიან. მათმა კვარტეტმა გასამხედროებულ კროსში რესპუბლიკის პირველობის ჩემპიონატი, რომელიც ამას წინათ საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა რუსთავის ბაზებზე ჩაატარა, მხოლოდ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებთან (ზ. თავლიაშვილი, ს. არუთინიანი, ვ. ლარიბაშვილი, ლია ჯვირავოვა) წააგო. (გასამხედროებული კროსი სხვადასხვა მანძილზე რბენასთან ერთად ხელყუმბარის კარგად ტყორცნისა და მცირეკალიბრიანი შაშხანის ზუსტად სროლის ცოდნასაც მოითხოვს. ამ შეჯიბრებაში გოგონები და ქალები 1500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ჭაბუკები — 2000 მეტრზე, იუნიორები და ვაჟები 3 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას). ტურნირის გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა გაგრის საქალაქო კომიტეტის ნაკრებმა.

პირად ჩემპიონატში, სადაც ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 12 ნაკრები ასპარეზობდა, წარმატებას მიაღწიეს: ვაჟთა შორის — ზ. თავლიაშვილმა (თბილისი, ორჯონიკიძის სახ. რაიონი), ა. მიტუხინმა (სიღნაღი) და ჯ. მარიაშვილმა (საგარეჯო).

მოზარდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. ლარიბაშვილი (თბილისი, ორჯონიკიძის სახ. რაიონი), პ. მიტუხინი (სიღნაღი), ა. მინასიანი (გაგრა).

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა გაგრელი მ. ივანოვა. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის გუნდის წევრებმა ლ. ჯვირავოვამ და ქ. კახიანმა (პირადი) II და III ადგილები დაიკავეს.

ნ. თაკთაქილია.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

გაიმართა სსრ კავშირის 44-ე საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის ბოლო ტურის კალენდარული შეხვედრები. სათამაშო დარჩა მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკის", მინსკის „დინამოს", დონეცკის „შახტიორისა" და როსტოვის არმიელთა გუნდების გადატანილი მატჩები.

„სპარტაკი" — ცსკა 2:0 (1:0). არმიელთა კარში 2 ბურთი გაიტანა გავრილოვმა, — 1 შავლომ.

დუბლიორები — 3:1.

„ქაირათი" — „დინამო" კ. 2:2 (1:1). ანგარიში გახსნა ალმაათელმა შტრომბერგერმა. შემდეგ ბურიაკმა გაქვითა გოლი, დემიანენკომ წინ გაიყვანა კიეველები და 68-ე წუთზე იმავე შტრომბერგერმა აღადგინა თანაფარდობა.

გააფრთხილეს კიეველი [illegible].

დუბლიორები — 2:0.

„შახტიორი" — „ჩერნომორეცი" 1:2 (1:1). მე-14 წუთზე დაწინაურდნენ [illegible] (იაკუბიკი). შემდეგომში ბელოუსმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შარიიმ კიდევ ერთხელ აიღო „შახტიორის" კარი.

გაფრთხილებულია [illegible] ბელანოვი.

დუბლიორები — 2:3.

სკა რ. — „დნეპრი" 1:1 (1:0). ბურთები გაიტანეს როსტოველმა ანდრეევმა და დნეპროპეტროვსკელმა უსენკომ.

გააფრთხილეს ლისენკო („დნეპრი").

დუბლიორები — 1:3.

„ზენიტი" — „კუბანი" [illegible]0.

გააფრთხილეს კრასნოდარელი ნამაზოვი.

დუბლიორები — 2:1.

უმაღლესი ლიგა

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 1:1 (0:0). ბურთები გაიტანეს დონეცკელმა ფედორენკომ და ბაქოელმა ახმედოვმა.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო" მნ. — „ტავრია" 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს ვასილევსკიმ და გურინოვიჩმა.

დუბლიორები — 2:0.

„დინამო" მ. — „ტორპედო" 2:1 (2:0). აჭოევისა და მინაევის მიერ პირველ ტაიმში გატანილ 2 ბურთს ტორპედოელებმა შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთით უპასუხეს (სულაპოროვი).

გააფრთხილეს ტორპედოელი პეტრაკოვი.

დუბლიორები — 1:0.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." თბ.	17	12	3	2	36—15	27
„დინამო" კ.	17	12	2	3	29—12	26
„დინამო" მ.	17	8	6	3	29—24	22
„შახტ."	16	8	4	4	29—21	20
„დინ." მნ.	16	7	6	3	27—16	20
„ზენიტი"	16	8	2	6	21—16	18
ცსკა	17	8	2	7	22—26	18
„არარატი"	17	7	4	6	16—18	18
„ნეფთჩი"	17	5	8	4	19—15	18
„სპარტაკი"	16	7	3	6	32—24	17
„ქაირათი"	16	7	3	6	18—26	17
„ტორპ."	17	5	4	8	14—22	14
„კუბანი"	17	5	3	9	18—25	13
„ფახთაკ."	16	4	5	7	23—30	13
„დნეპრი"	17	5	2	10	24—32	12
„ჩერნომ."	17	4	3	10	14—24	11
სკა რ.	15	3	4	8	13—20	10
„ტავრია"	17	1	2	14	8—28	4

II ლიგა

25 ივნისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-20 ტურის კალენდარული შეხვედრები.

კვლავ წარმატებით თამაშობენ სამტრედიის ლოკომოტიველები, რომლებმაც [illegible] დაამარცხეს ადგილობრივი „კოლხეთი" 3:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „ყარაბაღი" (სტეფანაკერტი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „დილა" (გორი) 1:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

პირველი ჯგუფი

I ქვეჯგუფი

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:0. მსაჯი ბ. ხუციშვილი (თბილისი).

სტუმრების კარში სამივე ბურთი გაიტანა ვასაძემ.

„დურუჯი" (ყვარელი) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:1. მსაჯი რ. ძიძიგური (თბილისი).

სპარტაკელთა კარი ორჯერ აიღეს ნერსეზაშვილმა და მოსიაშვილმა. საპასუხო გოლი გაიტანა რაზმაძემ.

„ავიატორი" (თბილისი) — სკა (თბილისი) 0:2. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

არმიელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი, ბურთები გაიტანეს რუხაძემ და მენაბდემ, ხოლო ლატარიამ ვერ გამოიყენა პენალტი.

„ფიზკულტურის ინსტიტუტი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 0:0. მსაჯი ა. ბახუტაშვილი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს ცხინვალელი ვ. ლოლაევი. გააფრთხილეს, აგრეთვე, მისი თანაგუნდელი ა. ჯიჯოევი. მეორედ გაფრთხილებულია თბილისელი გ. [illegible].

„ალგეთი" (მარნეული) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:2. მსაჯი რ. ტაბიაშვილი (თბილისი).

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ეროძემ და მეგრელიშვილმა.

„ვარძია" (ასპინძა) — „კახეთი" (თელავი) 0:2. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

„ვარძიის" კარში ორივე ბურთი გაიტანა აბდულაევმა.

წლეულს მეორედ გააფრთხილეს თელაველი გ. იაშვილი. გააფრთხილეს, აგრეთვე, ასპინძელი შ. ბერიძე.

„არმაზი" (მცხეთა) — „თორი" (ბორჯომი) 1:1. მსაჯი შ. კობიაშვილი (გორი).

ბურთები გაიტანეს წიქარიშვილმა („თორი") და გელბახიანმა („არმაზი").

გაფრთხილებულია ბორჯომელი ა. [illegible].

„მეშახტე" (ტყიბული) — „მადნეული" (ბოლნისი) 3:[illegible] ... ჯანაშვილი (თბილისი).

2 ბურთი გაიტანა ბაბუ[illegible], 1 — ჭარხალაძემ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეშახტე"	15	8	6	1	39—[illegible]	22
„მაღარ."	15	8	5	2	37—[illegible]	21
„ალაზანი"	15	9	2	4	28—[illegible]	20
„ქართლი"	15	8	3	4	29—22	19
„სპარ." თბ.	15	6	7	2	21—[illegible]	19
„ივერია"	14	8	2	4	21—[illegible]	18
„კახეთი"	15	7	3	5	24—[illegible]	17
„დურუჯი"	15	7	3	5	22—[illegible]	17
„მადნეული"	15	6	4	5	20—[illegible]	16
„ავიატორი"	15	6	3	6	23—[illegible]	15
„ალგეთი"	15	5	4	6	[illegible]	14
სკა თბ.	15	4	4	7	[illegible]	12
„სპარ." ცხ.	15	4	4	7	[illegible]	12
„ფიზინ."	14	2	7	5	[illegible]	11
„არმაზი"	15	2	6	7	[illegible]	10
„თორი"	15	3	4	8	[illegible]	10
[illegible] თბ.	15	2	4	9	[illegible]	8
„ვარძია"	15	3	1	11	[illegible]	7

II ქვეჯგუფი

„დინამო" (ქუთაისი) — „[illegible]" (წალენჯიხა) 2:4. მსაჯი [illegible] (სოხუმი).

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს შეროზიამ, [illegible] ჯიქიამ და კვირტიამ, ხოლო დამარცხებულთაგან — [illegible] კასანძემ.

გააფრთხილეს დინამოელები ბ. [illegible] და ა. თოიძე.

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „[illegible]" ([illegible]) [illegible]. მსაჯი [illegible] ხარაიძე (მახარაძე).

[illegible] ბურთი გაქვითა [illegible].

„კოლხეთი" (ხობი) — „[illegible]" ([illegible]) 2:0. მსაჯი [illegible] (თბილისი).

ბურთები გაიტანეს [illegible] და [illegible]მეთიანმა.

„იმერეთი" (წულ[illegible]) — „მე[illegible]ცხალი" (მახარაძე) 3:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს შავაძემ, ბერძენიშვილმა და ანდრიაძემ.

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მზიური" (გალი) 3:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

გააფრთხილეს გალელი ფეხბურთელები ო. და ზ. ზაქარაიები.

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:2. მსაჯი ნ. წურწუმია (ფოთი).

ბურთები გაიტანეს ნაჭყებიამ და ბელოუსოვმა.

გაფრთხილებულია გეგეჭკორელი ი. ლაგვილავა.

„შუქურა" (ქობულეთი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (თბილისი).

გაფრთხილებულია საჩხერელი გოგი [illegible] (მეორედ წლევანდელ სეზონში).

„ნაკადული" (წყალტუბო) — „სულორი" (ვანი) 1:1. მსაჯი შ. ხაჩიაშვილი (თბილისი).

ახვლედიანის მიერ გატანილი გოლი გაქვითა ვანელმა არუთინიანმა. პენალტი ვერ გამოიყენა [illegible] („ნაკადული").

„გიგანტი" (ლაითური) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (სოხუმი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." ზ.	15	9	6	0	25—7	24
„სულორი"	15	9	5	1	28—9	23
„გიგანტი"	15	6	6	3	21—15	18
„ნაკად."	15	5	8	2	16—13	18
„მეტალ."	15	6	5	4	25—19	17
„ბახმარო"	15	7	2	6	22—18	16
„შუქურა"	15	6	4	5	20—16	16
„მერცხ."	15	6	4	5	17—15	16
„ჩიხურა"	15	6	4	5	18—19	16
„სკური"	15	5	5	5	17—19	15
„მზიური"	15	5	4	6	23—21	14
„სალხინო"	15	5	3	7	18—21	13
„კოლხეთი"	15	5	3	7	21—26	13
„ენერგეტ."	15	3	6	6	21—23	12
„იმერეთი"	15	4	4	7	14—19	12
„ამირანი"	15	3	3	9	17—29	9
„ეგრისი"	15	3	3	9	16—31	9
„დინამო" ქ.	15	3	3	9	14—33	9

მეორე ჯგუფი

I ქვეჯგუფი

„ენერგეტიკოსი" (ჟინვალი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:2, „განთიადი" (კასპი) — „[illegible]" (ახმეტა) 3:3, „თრიალეთი" (წალკა) — „[illegible]" (დმანისი) 2:1, „[illegible]" (ქვემო ალვანი) — „სპარტაკი" (რუსთავი) 1:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:0.

გაფრთხილებულია საგარეჯოელი გ. მასხულაძე.

II ქვეჯგუფი

„კოლმეურნე" (გულრიფში) — „მშენებელი" (ჭიათურა) 3:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „[illegible]" (სოხუმი) 1:0, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:1, „[illegible]" (ზუგდიდი) — „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 3:1, „ნარუჯა" (მახარაძე) — „ავიატორი" (სოხუმი) 3:0, „რიწა" (გუდაუთა) — „ოკრიბა" (ბანძა) 4:0, „სენაკი" (ცხაკაია) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 4:1, „განთიადი" (აბაშა) — „ზვამლი" (ცაგერი) 1:1, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „ტეტრა" (დიდი ჯიხაიში) 3:1.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

● ●

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 28 ივნისი. ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

პელე ფეხბურთის შესახებ

„ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავლადაა ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი, მაგრამ ძლიერი ნაკრები ამ ქვეყანას ჯერჯერობით არა ჰყავს. ამერიკელთათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ საკმარისად არ გააჩნიათ კომპეტენტური მწვრთნელები ახალგაზრდულ გუნდებში. ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა ხშირად არც იციან რა არის ფეხბურთის თამაში, ამიტომ ბევრს ვერც ასწავლიან ახალგაზრდებს." — ასე განაცხადა პელემ ჟურნალისტებს ლონდონში. როგორც ცნობილია, ბრაზილიელი ფეხბურთელი რამდენიმე წელი თამაშობდა ნიუ-იორკის „კოსმოსში" და საკმაოდ კარგად გაეცნო სპორტის ამ სახეობის განვითარებას აშშ-ში.

კიდევ ერთ პრობლემას ხედავს [illegible]ლე იმაში, რომ [illegible] კლუბების ხელმძღვანელ[illegible] [illegible]ბით მოთამაშეებს არ [illegible] ქვეყნის ეროვნულ [illegible]. — ასეთი საკითხი [illegible] მოითხოვს, — თქვა [illegible] კლუბების მეპატრონეებმა [illegible], რომ თუ [illegible] [illegible]რები [illegible] მოიპოვ[illegible] [illegible]ის ფინალში, [illegible] მოუტანს ამ [illegible].

როგორც ცნობილია, ამე[illegible]ებმა ვერ მოიპ[illegible] [illegible] სოფლიო ჩემპიონატ[illegible] 1982 წელს ესპან[illegible]. როგორც პელემ [illegible] [illegible]ებს შანსი [illegible] მომდევნო მსოფლ[illegible] [illegible]ის ფინალური [illegible]. პელე ერთხანს [illegible] [illegible]ლისში და დაეს[illegible] მატჩს, კერძოდ, [illegible] კონტინენტის ნაკრ[illegible] შესარჩევ თამაშს, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:0.

— ინგლისელებმა ლამაზად გამიწბილეს, — განაცხადა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს. მატჩის წინ დარწმუნებული ვიყავი მათ გამარჯვებაში, მაგრამ თამაშის დროს მივხვდი, რომ გუნდს არა ჰყავს ორგანიზატორი მოთამაშე. ეს ამპლუა შეიძლება შეესრულებინა კევინ კიგანს, მაგრამ ეს ფეხბურთელი ბოლო ხანებში ტრავმის გამო ხშირად გამოდის მწყობრიდან და მას არ შეუძლია ჩადგეს სათანადო სპორტულ ფორმაში.

— ამას გარდა, ჩემი აზრით, ინგლისელ მოთამაშეებს სეზონის მანძილზე ერთობ ბევრი ოფიციალური მატჩი უწევთ — 65-70. ვფიქრობ, ფსიქოლოგიური დაძაბულობა მათზე უარყოფითად მოქმედებს. ოფიციალური თამაშები რაციონალურად უნდა შეეხამოს ამხანაგურს. ([illegible]).

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

„გრემიო" — ბრაზილიის ჩემპიონი

ბრაზილიის 1981 წლის ჩემპიონი გამოვლინდა პორტუ-ალეგრეს „გრემიოსა" და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „სან-პაულუს" 2 გადამწყვეტ მატჩში.

პირველი მატჩი პორტუ-ალეგრეში მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1. ეს შედეგი „სან-პაულუს" გარკვეულ იმედებს აძლევდა, მაგრამ იგი შინაც დამარცხდა — 0:1. „გრემიო" ბრაზილიის ჩემპიონი გახდა.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბ[illegible] ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ნუ დაჰკარგავთ საუნჯეს

ალორძინების დასაწყისი

საცხენოსნო სპორტის სახალხო ტრადიციების აღდგენა-განვითარების ისეთი რეალური საფუძვლები, როგორიც ამჟამად შეიქმნა, არასდროს ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ ექვსიოდე თვის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ" პრობლემათა კომპლექსურ გადაჭრას მოითხოვს, რომელთაგან უმთავრესი მაინც ცხენის გადაშენება-გადაჯიშებისაგან ხსნაა, რათა იგი კვლავ ჩადგეს ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. როცა ტრადიციების აღდგენის რეალურ საფუძვლებზე ვლაპარაკობთ, სწორედ ამ დადგენილების მოთხოვნები გვაქვს მხედველობაში. ის პრაქტიკული ნაბიჯები, რაც უკვე გადაიდგა ამ მოთხოვნათა შესასრულებლად, იმის გათვალისწინებაც, რაც მომავალში უნდა გაკეთდეს, გვაიმედებს, რომ ცხენი, ადამიანის ეს უძველესი მეგობარი, კვლავაც გაალამაზებს ჩვენს ცხოვრებას.

საცხენოსნო ტრადიციების აღდგენა ცხენზე ზრუნვით, მისი [illegible]ლებელი გაიოლება, [illegible] მხედართა ოსტატობის [illegible]ბა. დავეთანხმებით, რომ ყველა ეს მიზანი ერთი-მეორეზე [illegible] რგოლებივითაა [illegible] მათი სიმტკიცე და [illegible] მანზეა დამოკიდებული. საჭირო იყო მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გამოგვეჩინა, რათა სარბიელიდან ყაბახი, თარჩია, [illegible], გვერდაობა, მოქნევა, დოლი არ გამქრალიყო. უყურადღებობის გამო ცხენოსნობის საუკუნეებით ნასაზრდოები ხალხური ხელოვნება ბევრგან სრულიად მიივიწყეს. გაწყდა კავშირი თაობებს შორის, თვალსა და ხელს შუა დაიკარგა უბადლო სიხალისე და ოსტატობა, რითაც ოდითგანვე იყო ცნობილი ჩვენი ხალხი. სწორედ ხალხური სახე[illegible]

[illegible] სპორტულ სარბიელზე [illegible] [illegible] რაიონების სწორედ [illegible] [illegible] არ ჩანდა, მაგრამ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი რომ გადაიდგა, დასაწყისისთვის ესეც უდავოდ დიდი საქმეა. ავიღოთ თუნდაც აბაშის მაგალითი. უკვე მერამდენე წელია აქაური ენთუზიასტი დ. [illegible] შეუპოვრად და მართლაც შესაშური ენერგიით ცდილობს რაიონში კვლავ აღადგინოს საცხენოსნო ტრადიციები. ასეთ ენთუზიასტებს მხარში ამოდგომა და დახმარება სჭირდებათ, თორემ ერთისადმი უყურადღებობა სხვებსაც გულს გაუტეხს. ცხენოსნობის ასეთი თავგამოდებული ქომაგები კი მხოლოდ ერთეულებიღა შემოგვრჩნენ. არასტაბილური გეგეჭკორელთა და წულუკიძელთა მონაწილეობა საქართველოს პირველობებში. ამჯერად სარბიელზე მათი გამოჩენა, ისევე როგორც აბაშელებისა, მისასალმებელია და გვინდა მტკიცედ ვირწმუნოთ, რომ ამიერიდან ეს რაიონები საბოლოოდ და მტკიცედ დამკვიდრდებიან რესპუბლიკურ არენაზე. აბაშელთა, გეგეჭკორელთა და წულუკიძელთა გარდა ცხაკაიაში იასპარეზეს გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის, გალის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, სამტრედიისა და თვით ცხაკაიელმა მხედრებმაც. პროგრამა კი [illegible] უცვლელი იყო: ცხენბურთი, ისინდი, მარულა. სარბიელზე 11 გუნდი გამოვიდა. ცოტაა ეს თუ ბევრი? წინა წლებთან შედარებით ცოტა არაა, მაგრამ არც ბევრია. წარსულში, მაგალითად, რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობის იმდენი მსურველი იყრიდა თავს, რომ ფინალის საგზური მხოლოდ ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს ეძლეოდათ. მაშინ აფხაზეთიც ერთი გუნდით — ნაკრები კოლექტივით გამოდიოდა სარბიელზე. ალბათ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ცხაკაიაში თავმოყრილი გუნდებიდან ოთხი აფხაზეთიდან იყო. ეს, ცხადია, ერთგვარი იძულებითი სიახლეა ასპარეზობის ტერიტორიული პრინციპით ჩატარებაში, მაგრამ გამოსავალი გამოინახა, დებულების მიხედვით ამიერიდან გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები გამოვლინდებიან ორ ჯგუფში პარალელური ჩათვლით. პირველში შედის აფხაზეთის ნაკრები და სხვა დანარჩენი გუნდები, მეორეში — მხოლოდ რესპუბლიკის რაიონები. არც წლევანდელ პირველობაში დარღვეულა ეს პრინციპი. საერთო გუნდურ ასპარეზობაში პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს აფხაზეთის მხედრებმა, მეორე იყო ცხაკაიის, ხოლო მესამე ჩოხატაურის ნაკრები. რაიონებს შორის კი ყველას გუდაუთელებმა აჯობეს. მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად დაიკავეს ცხაკაიელმა და ჩოხატაურელმა ცხენოსნებმა. ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **ცხენბურთი:** 1. გუდაუთა, 2. ცხაკაია, 3. ჩოხატაური. **ისინდი:** 1. ცხაკაია, 2. გუდაუთა, 3. ჩოხატაური. **მარულა** (6 კმ): 1. ზუგდიდი, 2. გუდაუთა, 3. ცხაკაია. ამ სახეობაში პირველი იყო გუდაუთელი რ. გუდილა.

შენარჩუნებით და საცხენოსნო სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენით და მასობრიობით უნდა დავიწყოთ. თუ გავითვალისწინებთ შექმნილი ვითარების სირთულეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არა ერთი და ორი იწყების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საზრუნავია, საყოველთაო ამოცანაა. უპირველესი კი მათ შორის, ვინც სიტყვიდან კონკრეტულ საქმეზე უნდა გადავიდეს, ვინც თანმიმდევრულად (და არა ეპიზოდურად, როგორც ზოგჯერ მოვალეობის მოხდის მიზნით კეთდება) უნდა იზრუნოს ცხენისა და ცხენოსნობისათვის, არის სოფელი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭო, რომელმაც საერთო ენთუზიაზმს მიმართულება უნდა მისცეს. ამ სპორტულმა საზოგადოებამ უნდა აღადგინოს და სარბიელზე გამოიყვანოს ცხენოსნობის ხალხური სახეობები, რომელთა უმრავლესობა დღემდე ყოვლად გაუმართლებლად იყო მივიწყებული. რა დასამალია, ბოლო ხანებში საქართველოს პირველობის პროგრამა სპორტის ეროვნულ სახეობებში თანდათან შეიკვეცა და ბოლოს სარბიელს შემორჩა მხოლოდ და მხოლოდ ისინდი, ცხენბურთი და მარულა. პროგრამის ამგვარ გაღარიბებას, ცხადია, ჰქონდა რაღაც მიზეზი, მაგრამ არამც და არამც არ გვქონდა უფლება, რომ იგი გადაუჭრელ მიზეზად ჩაგვეთვალა და გვეთქვა, მეტი გამოსავალი არ არისო. ეს უფრო დათმობას, კომპრომისს ჰგავდა, რომელიც მერე და მერე თავადვე ვაქციეთ კანონზომიერებად, თუმცა მიზეზს, რომელსაც ასე მაგრად ჩავჭიდეთ ხელი, სამისო პრეტენზია სრულებითაც არ ჰქონია. ცხენოსნობის ეროვნული სახეობებისადმი უყურადღებობა ბოლო ხანებში სამი ძირითადი პრობლემით იყო გამოწვეული: პირველი ესაა ცხენთა სულადობის შემცირება, რაც თანამედროვე ადამიანის ყოფაში ცხენის ფუნქციის შეზღუდვამ გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი — საცხენოსნო კერების მოშლა. მეორე მიზეზი ესაა ასპარეზობათა პროგრამის გაუმართ[illegible]

[illegible]ობებისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ შეუწყო ხელი ცხენთა სულადობის შემცირებას. [illegible] ამ სტრიქონებს და გავიხსენებთ აფხაზეთის სოფლებში დღემდე შემორჩენილ საგვარეულო ტრადიციებს, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ცხენოსნობის ხალხურ სახეობებს უკავია. აფხაზეთის სოფლებში სისტემატურად იმართება საცხენოსნო ზეიმები და ამ ასპარეზობებს უფრო მეტი ხალხი ესწრება, ვიდრე რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. ეს იმიტომ, რომ აფხაზეთში გლეხს კვლავ უჭირავს ცხენი თვალში, კვლავ გადაეცემა თაობიდან თაობას მისი სიყვარული და კარგი მერნის სახელიც ძველებურად ფასობს ამ კუთხეში. ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ აფხაზეთის რაიონები და სოფლები რომ არა, ცხენოსნობა ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იქნებოდა. მაგრამ ახლა წარსულის შეცდომებზე წუწუნის დრო არ არის. მთავარია, დაუყოვნებლივ ვუშველოთ იმას, რისი შველაც ჯერ კიდევ შეიძლება, რაც საბოლოოდ არ მისცემია დავიწყებას.

გამრავლდება თუ არა ახლო მომავალში ცხენოსანთა წარმომადგენლობითობა რესპუბლიკურ პირველობებში და მაყურებელი კვლავ იხილავს თუ არა მივიწყებულ ხალხურ ცხენოსნურ თამაშებს?

— მომავალი წლიდან უფრო მეტი ცხენ-მხედარი გამოვა სარბიელზე და ასპარეზობის პროგრამაც შედარებით მრავალფეროვანი იქნება — გვითხრეს „კოლმეურნეს" ცენტრალურ საბჭოში. ეს სპორტული საზოგადოება (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) დიდ-დიდ მუშაობას ეწევა სპორტის ეროვნულ სახეობათა მასობრიობისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში სასიკეთო ძვრები საცხენოსნო სპორტშიც შესამჩნევი გახდება. წლევანდელ პირველობაში, რომელიც „კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ ცხენოსნობის [illegible]

თ. ბაჩიშილაძე.

„წინაპართა ნაკვალევზე"

ზუგდიდიდან იტაცებდა სპორტი ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის მკვიდრს ვახტანგ გაბუნიას და ფეხბურთში პირველთანრიგოსანიც გახდა. ამ ათიოდე წლის წინათ კი სპორტისა და ხალხური შემოქმედების სხვადასხვა საინტერესო ექსპონატების შეგროვებას მიჰყო ხელი. გულდასმით შეისწავლა სოფლისა და რაიონის სპორტის ისტორია, შეკრებილ მასალებს საკუთარ ალბომში მიუჩინა ადგილი, რომელსაც „წინაპართა ნაკვალევზე" უწოდა.

ალბომი იხსნება სოფლის დაარსების ისტორიით. აქვეა ცნობები სოფლის ცხენოსან სპორტსმენთა შესახებ.

ცხენოსანთა გუნდს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საუკეთესო სპორტსმენი იასონ [illegible]. მისი ცხენოსნები საქართველოს პირველობაზეც გამოსულან და საპრიზო ადგილიც დაუკავებიათ.

კარგი სპორტსმენები იყვნენ შამგონელები კონდრატე [illegible] და [illegible].

კიდევ ბევრ საინტერესო მასალას შეხვდებით ვ. გაბუნიას ფონდში, რომელსაც სოფლის სკოლების მოსწავლეები იყენებენ კლასგარეშე მეცადინეობისთვის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შესაქმნელად.

ვ. გაბუნიას სახლში ხშირად იკრიბებიან სპორტის მოყვარული ახალგაზრდები. გაბუნიას ექსპონატები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის 2000-ზე მეტმა დამთვალიერებელმა ნახა.

ა. ლურჯაია,
ზუგდიდის რაიონის შამგონის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილი მსოფლიო რეკორდსმენი

საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩში ტრავმის გამო არ მონაწილეობს გ. ვესიგი — მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, რომელმაც 2,36 მ სიმაღლე გადალახა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გდრ-ის გაზეთმა „დოიჩეს შპორტეხომ" ამას წინათ ე. ბოკის ვრცელი სტატია დაბეჭდა ვესიგის შესახებ, ვფიქრობთ, იგი (მცირე შემოკლებით) საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისთვისაც.

გ. ვესიგი დაიბადა 1959 წლის ივლისში, სიმაღლე 2,01 მ. წონა 85 კგ. პროფესიით მზარეულია. ვარჯიშობს 1973 წლიდან.

⊙ რას განიცდით ახლა, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი?

— ემოციები უკვე კარგა ხანია დაცხრა, დაიწყო ჩვეულებრივი საქმიანი დღეები, რაც, ბუნებრივია, უფრო მეტია, ვიდრე კარგი მოგონებები. ხშირად მოდიან და მილოცავენ ნაცნობები და უცნობები, მიწვევენ სხვადასხვა შეკრებაზე, ასე რომ, არც თუ ადვილია იყო ოლიმპიური ჩემპიონი.



⊙ როდესაც 2,33 მ სიმაღლე მეორე ცდაზე გადალახეთ, რას ფიქრობდით მაშინ?

— „ახლა სხვებმა ცადონ უფრო მაღლა გადახტომა!" — ანდა რაღაც ამის მსგავსს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს უკვე გამარჯვება იყო.

⊙ 2,33 მ-ს შემდეგ თამასა რატომ 2,38-ზე არ ააწევინეთ? თუ ეს ჯერ კიდევ დიდი სიმაღლეა?

— დიახ, რა თქმა უნდა.

⊙ შეჯიბრების დაწყებამდე თქვენი საუკეთესო შედეგი იყო 2,30 მ, როგორ შეძელით ასეთი მობილიზება სარეკორდო ნახტომისათვის? თანაც მერე მყის მიიტანეთ იერიში 2,38 მ-ზე...

— ჩემთვის შეჯიბრება მანამდე გრძელდება, სანამ სამივე ცდა ფუჭად არ ჩაივლის.

⊙ თუ ფიქრობდით რომ ოლიმპიურ ოქროს მედალს მოიპოვებდით?

— მოსკოვში წასვლამდე, როცა კოტბუსში გამართულ გდრ-ის ჩემპიონატში 2,30 მ ვუჩვენე, ვფიქრობდი ალბათ ექვსეულში მოვხვდები-მეთქი, მაგრამ როდესაც საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე ჩემი კონკურენტები ვიხილე, მაშინ დავრწმუნდი, რომ ერთ-ერთი ხარისხის ოლიმპიურ მედალს მოვიპოვებდი.

⊙ როგორ ფიქრობთ, სად არის თქვენი შესაძლებლობათა ზღვარი? გჯერათ, რომ 2,40 მეტრზე პირველი გადახტებით?

— თუ ჯანმრთელად ვიქნები და კარგად ვივარჯიშებ მჯერა, რომ 2,40 მეტრზე გადავხტები. ამის გაკეთება სხვებსაც შეუძლიათ.

⊙ მაინც ვის?

— პოლონეთიდან იაცეკ ვშოლას. საბჭოთა კავშირიდან კარგი შანსი აქვს ალექსანდრე გრიგორიევს. გამოჯანმრთელების შემდეგ ვლადიმერ იაშჩენკოც ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

⊙ გფრ-ელი დიტმარ მოიგენბურგი და ზოგიერთი სხვა კარგი მხტომელები მოსკოვის ოლიმპიადაზე არ ჩამოსულან. რას იტყვით ამაზე?

— მებრალებიან ის სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი მთავრობებისა და სპორტული ორგანიზაციების უაზრო გადაწყვეტილებათა გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს მოსკოვის ოლიმპიადაში.

⊙ რას იტყვით ვიქტორ სანეევის მეოთხე ოლიმპიურ მედალზე?

— ეს არის ფანტასტიკური მიღწევა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროისათვის სანეევი ძალების მოზღვავებას არ განიცდიდა. სამხტომში, სპორტის ამ ერთ-ერთ რთულ სახეობაში, ოთხ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ სანეევის მსგავსი ნებისყოფის მქონე სპორტსმენებს თუ შეუძლიათ.

⊙ პროფესიით თქვენ მზარეული ხართ. ვინ შეგირჩიათ ეს პროფესია?

— მე თვითონ ავირჩიე და მისთვის დღემდე არ მიღალატია.

⊙ რომელი კერძის მომზადება გიყვართ განსაკუთრებით?

— კარტოფილის კერძებისა, მაგრამ მისი მომზადების პერიოდში კარტოფილი ძალიან სწრაფად შემომეხარჯება ხოლმე.

⊙ თქვენი საყვარელი კერძი?

— სალიანკა.

⊙ ხომ არ დარწმუნდით, რომ თქვენი გზა ია-ვარდითაა მოფენილი?

— არა! მე კიდევ ბევრი უნდა გავაკეთო, მსურს უფრო მაღალ საფეხურზე ავიდე. ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ბევრ აუთვისებელ რეზერვებს ვფლობ.

⊙ 1984 წელს თუ დაიცავთ თქვენს ოლიმპიურ ტიტულს?

— 1984 წლამდე დიდი დროა. ვეცდები მაშინაც ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ვიყო.

⊙ რა სიმაღლეზე უნდა გადახტეს სპორტსმენი, რომ 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს?

— იმაზე მაღლა, ვიდრე 1980 წელს. შესაძლოა საკმარისი იყოს 2,38 მ.

⊙ ასპარეზობისას ვლადიმერ იაშჩენკოს თუ შეხვედრიხართ?

— ორჯერ. გდრ-ისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩებში. გომელში — იუნიორთა შეჯიბრებისას და ბერლინის „დინამოს" დარბაზში. მან ორივეჯერ მაჯობა.

⊙ როგორ მოხვდით მძლეოსნობაში?

— ჩემი მშობლები ფიზკულტურის მასწავლებლები არიან, სპორტი მათ შემაყვარეს.

⊙ ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი?

— მამაჩემი.

⊙ კიდევ რა სახეობები გიტაცებთ?

— კრივშიც ვცადე ძალა, დიდი სიამოვნებით ვთამაშობ ფრენბურთს, მაგრამ განსაკუთრებით ხელბურთი მიტაცებს.

⊙ რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

— ვისმენ თანამედროვე მუსიკას. დავდივარ ცეკვების საღამოებზე.

გერმანულიდან თარგმნა ბ. ლამბაშიძემ.

ზაფხული-81

მზემ აიწია თითის წვერებზე

შუადღის ხვატი ჩამოწოლილა. „საჩრდილობლებს" დაუწყეს თბილისელებმა ძებნა და ტყე-პარკები, სკვერები და წყალსატევებიც ხელგაშლილად მასპინძლობენ მათ.

ჟუჟუნა წვიმას, მთიდან მობერილ ნიავს ნატრობენ მზით გათანგულნი, აკი უსმინათ „ცულლუტმა" შადრევანმა.

დათოს კი ზღვაზე თავისი რინგო წამოუყვანია, ცურვა უნდა ასწავლოს.

მზე დედაა ჩემი... გარინდებულა ქალი. ბიჭი კი უბურთოდ აბა როგორ მოისვენებს.

შუადღის ხვატი ჩამოწოლილა.

მ. კარტოზია.

◆

ს. ვართანესოვის ფოტოები.

პანორამა

● ველოსპორტი

საბჭოთა ველოსიპედისტებმა ევროპის თასი მოიპოვეს მაინის ფრანკფურტის (გფრ) ტრეკზე გამართულ გამოდევნებით გუნდურ რბოლაში.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვ. მანაკოვმა და ა. კრასნოვმა ა. პეტროვსა და ა. კულიკოვთან (ყველა — ლენინგრადი) ერთად ფინალში შესანიშნავი დრო — 4.27,32 აჩვენეს და ჩეხოსლოვაკიელები (4.30,58) აიძულეს მეორე ადგილს დასჯერებოდნენ.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში წარმატებას მიაღწია იტალიის ნაკრებმა (4.31,67), რომელმაც 1,29 წამით ჩამოიტოვა მასპინძელთა გუნდი.

● მძლეოსნობა

გდრ-ის მძლეოსნებთან მატჩის წინ საბჭოთა მორბენლებმა საფრანგეთის ქალაქ ბურჟში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სცადეს ძალა და ოთხ ესტაფეტაში წარმატებას მიაღწიეს. ვაჟთა შორის 4X100 მეტრზე რბენაში შლიაპნიკოვმა, სიდოროვმა, აქსინინმა და მურავიოვმა იმარჯვეს — 39,08. ქალთა შორის ამავე სახეობაში ასევე პირველი იყო საბჭოთა ნაკრები (ნაზაროვა, მიხეევა, ზოლოტარიოვა და ბოჩინა) — 43,33. ქალების 4X400 მეტრზე ესტაფეტაში ივანოვამ, გოიშჩიკმა, ბოჩინამ და ნაზაროვამ მოიგეს პირველობა — 3.26,93. 4X800 მეტრის ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდნენ პროვიდოხინა, აშიხმინა, რიგელი და რუჩაევა — 8.04,77.

● წყალქვეშა ცურვა

ალმა-ათაში წყალქვეშ მოცურავეთა პირადი საკავშირო ჩემპიონატი რეკორდის დამყარებით დაიწყო: უკვე წინასწარ გაცურვაში მასპინძელმა მ. სკობლიკოვამ 50 მეტრზე ყვინთვაში 18,5 წამი აჩვენა და 0,2 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ე. პელცს (გდრ) ეკუთვნოდა. 1500 მეტრზე ცურვაში ჩემპიონი გახდა ტომსკელი ნ. პუშკარიოვა — 14.42,0, ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე იმარჯვა კიეველმა ა. ნოსოვმა — 13.24,9.

მხოლოდ 54 წამს

10 ათასი მაყურებელი მივიდა ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში", სადაც ერთმანეთს შეხვდნენ მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეები კენ ნორტონი და ჯერი კონი. მატჩში გამარჯვებული უნდა შეხვედროდა მსოფლიოს ჩემპიონ ლარი ჰოლმსს.

ნორტონის პროფესიული კარიერა 14 წელია გრძელდება. 84 დღის განმავლობაში იგი მსოფლიოს ჩემპიონიც კი იყო: 1976 წელს დაამარცხა თვით მუჰამედ ალი. ნორტონი 35 წლისაა, კონი კი 24 წლისა. კონმა პროფესიონალური კრივის ასპარეზზე დიდი წარმატება მოიპოვა — 25 მატჩიდან ყველა მოიგო, აქედან 21 ნოკაუტით.

მაყურებლების მოლოდინი არ გამართლდა. ნორტონმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ახალგაზრდა მეტოქეს. კონიმ თავბრუდამხვევი იერიშით დაიწყო შეხვედრა და უკვე 54-ე წამზე ნორტონი ნოკაუტში აღმოჩნდა.

„გრან პრის" პრეტენდენტები

ჩოგბურთელთა პოპულარული ჯილდოს „გრან პრის" პრეტენდენტები დღეისათვის არიან: კონორსი (აშშ) — 980 ქულა, ტანერი (აშშ) — 694, ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 671, მაიერი (აშშ) — 542, ნოა (საფრანგეთი) — 510, სალომონი (აშშ) — 507, ვილასი (არგენტინა) — 505, მაკინროი (აშშ) — 425, ფიბაკი (პოლონეთი) — 396, შმიდი (ჩეხოსლოვაკია) — 370.

მსოფლიოს ჩემპიონი ბორგი (შვეცია) ამ სიაში არ არის, რადგან მან წლეულს რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი გამოტოვა.

ქალთა შორის პირველ ადგილზეა კრის ევერტი (აშშ) — 550 ქულა.

რედაქტორი ა. გასილაია.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო

აცხადებს

ახალგაზრდა სპორტსმენების მიღებას თბილისის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში:

1. თბილისის № 5 საშუალო პროფტექსასწავლებელში (ართვინის ქ. № 53, ტელეფონი: 95-23-72)

თავისუფალი ჭიდაობის განხრით

სპეციალობა სანტექნიკოსები,

2. თბილისის № 6 საშუალო პროფტექსასწავლებელში (მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელეფონი: 66-57-23)

კლასიკური ჭიდაობის განხრით

სპეციალობა ჩარხის პროგრამული მართვის ოპერატორები.

3. თბილისის № 11 სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელში (ცონქაძის ქ. № 21, ტელეფონი: 99-99-61)

ჭიდაობა ძიუდოს განხრით

სპეციალობა მღებავი,

4. თბილისის № 36 საშუალო პროფტექსასწავლებელში (ავჭალის გზატკეცილი № 106, ტელეფონი: 62-41-39)

5. თბილისის № 80 საშუალო პროფტექსასწავლებელში (გლდანის დასახლება, ტელეფონი: 62-04-98)

კრივის განხრით

სპეციალობა რადიოსა და ტელევიზიის აპარატურის მექანიკოსები.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან, საკონკურსო შერჩევა დაიწყება 15 აგვისტოდან.

სწავლება უფასოა. ქალაქის საშუალო პროფტექსასწავლებლებში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით, ტანსაცმლითა და სპეცტანსაცმლით.

სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსულნი საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. მოსწავლეებს საწარმოო სწავლების პროცესში შესრულებული სამუშაოსთვის მიეცემათ ფულადი ანაზღაურება დადგენილი წესით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი

28 ივნისი

რ ე გ ბ ი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგის საგზურისთვის

„შევარდენი" (თბილისი) — **„პრიმორიეცი"** (ლენინგრადი)

დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, კომაროვის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 08029